სამშაბათი 1919 წ. თებერვლის 18 № 37

წელიწადი მეხუთე

სამშაბათი 1919 წ. თებერვლის 18 № 37

ფასი თბილისში [illegible] და რკ. გზის სადგურებზე [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

მწუხარებაში მყოფნი: შვილები ნიკოლოზი, სონია, დოტია და რძალი ლენა კილურაძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ დედის გარდაცვალებას

ელისაბედ დავითის ასული
კილურაძისას

პანაშვიდი ყოველდღე საღ. 6 საათზე. წირვა დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე, ხამშაბათს, 18 თებერვალს დღის 3 სათზე. 1—2118—1

გულ დათუთქულნი კნეინა ნინო თომას ასული შერვაშიძისა, ოლღა თომას ასული, ეკატერინე ესტატეს ასული, და მიხეილი თომას ძე დიდიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 18 თებერვალს იქნება გადახდილი 40 დღის დაუვიწყარის და ძვირფასის პირველისა ქმრისა და დანარჩენის სიძისა

პოლკ. თავად მიხეილ ლევანის ძე
შერვაშიძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი საღ. 5 საათზედ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1—2121—1

უნუგეშოდ მყოფი და მწუხარებით გულდამწვარი ბარბარე (ვალია) ლევანის ასული და პატარა ვიტუშა მასხულიები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხუთშაბათს, 20 თებერვალს, სოფ. კვათანაში (სად. აბაშასთან) წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელი ქმრის და მეორის ძვირფასი მამის

ნიკიფორე ივანეს ძე
მასხულიას

სულის მოსახსენებლად. (2—2117—1)

— სახელმწიფო თეატრი —
საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 19 თებერვალს ე. ა. სპიტკოს ბენეფისი საბანეევას, ზალიპსკის, ნიკოლსკის და სხვათა მონაწილეობით:

მინიონი

ოთხშაბათს, ორკესტრის ბენეფისი, საბანეევას, ორდის, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით „ევგენი ონეგინი".

მოითხოვეთ
ფა-ნაზმირი

დიდი ეკონომია, სითბო 2-ნახ. ჯერ მეტი შეშაზე.
ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია

ნაზმირის მთხოვნელნი უნდა ჩაეწერნენ: გრიბოედოვის ქუჩა, № 6, მესამე სართული, დილის 11—1 საათამდე. 3—2120—1

[illegible] 1—2119—1

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

მოიკითხეთ ყველგან
ღვინო

კინემო მინიონი
გოლოვინის და ბარიათინის კუთხე.

დღეს ჩვენს ეკრანზე
ხალხურ სიმღერიდან
უფლის ტაძრის
პარი ბჭეზე
მხატვრული დრ. 5 მოქ.

ხვალ. 19 თებერვ.
„დაივიწყე გუხარი, მასში ცეცხლი ჩაიფერფლა".
პასუხი რომანზედ
„გუხართან"
სეანსის დასაწყისი 4 ნახ. ს.

რ. წითელ ჯვრის საოლქო მმართველობის
სამკურნალო
ნერვიულ და სულიერად ავადმყოფთათვის, ალკოგოლიკების და ნარკომანებისთვის. ცნობებისთვის მიჰმართეთ. სამკურნალოს (ორთაჭალა ელბრუსის ქ. № 27. ტელ. 82.) ან დირექტორს ა. პრუსენკოს მისამართით: ანასტასიას ქ. № 7, ტელეფონი 4—36. (12—1102—2)

## მოხალისეთა ჯარი

დამფუძნებელ კრების არჩევნების აჟიოტაჟმა და უკანასკნელ დროის გახშირებულმა ომებმა ყველა ფრონტებზე ერთგვარი გულგრილობა დაბადა ქართველ საზოგადოებაში და სათანადოთ არ არის დაფასებული ის საფრთხე, რომელიც მოელის ჩვენ რესპუბლიკას შავი სანაპიროებიდან.

მკვდრეთით ამდგარ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს კრებებზე ჩვენი მთავრობის და მმართველ პარტიის წარმომადგენელნი ბევრს ლაპარაკობდნენ რეაქციის მოახლოვებაზე დენიკინის ლაშქრის სახით, ამას უკავშირებენ კიდევ ინგლისის ორმაგ პოლიტიკას და რევოლუციას აცხადებენ განსაცდელში, მაგრამ რევოლუცია არას დროს არ ფარავდა საქართველოს, შეიძლება ითქვას კიდეც საქართველოში მენშევიკური რევოლუცია გათავდა და საქართველო როგორც სახელმწიფო მხოლოდ ეხლა იწყებს ცხოვრებას. ლოზუნგი, საქართველო განსაცდელშია უფრო მეტს გამოხმაურებას გამოიწვევს.

მაგრამ საკითხი ასე მწვავეთ არ არის დაყენებული, ქართველმა ხალხმა ჯერაც არ იცის რა საფრთხეს წარმოადგენს დენიკინის ლაშქარი და რა ზომებით შეიძლება ამ საფრთხიდან თავის დაღწევა. შავი ზღვის სანაპიროებზე მომხდარ ამბებს დიდი ისტორია აქვს. ამ ადგილზე ხდება საბედისწერო გადაწყვეტა რუსეთის ბედის.

რევოლუციამ რუსეთი ორათ გაყო: ბოლშევიკები ერთი მხრივ და მეორე მხრივ მოხალისეთა ჯარი გენერალ კრასნოვისა და დეკინისა მეთაურობით.

იმ დროს როცა ბოლშევიზმი, რუსეთში თანდათან მაგრდებოდა და ერთი ნებისყოფით შეჰკრა მთელი ჩრდილოეთი რუსეთი და ეხლა უკრაინაც შეიყვანა თავის გავლენის წრეში და ყოველი დღე ბოლშევიკების ჯარებს გამარჯვებას უძღვნის შინაურ და გარეშე ფრონტებზე—მათი მოწინააღმდეგე ელემენტები თანდათან ჰკარგავენ გავლენას და პოლიტიკურ ასპარეზიდან ჰქრებიან.

როგორც წყლის მუშტი წვიმიან დღეს, ისე გაჰქრა ეფემერული უფის მთავრობა და ყველა მთავრობები ჩრდილოეთში, მხოლოდ დონის და ყუბანის რეაქციონერები განაგრძობენ დღევანდლამდე ბრძოლას, მაგრამ ამათ მოღვაწეობასაც ცუდი პერსპექტივები უჩანს.

ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს უკრაინაში, წითელი არმია ეხლა დონს მოადგა, კრასნოვის მოხალისენი ვეღარ უძლებენ მათ შეტევას და დრკებიან. კრასნოვის ჯარის კატასტროფა მორალურად მოქმედობს დენიკინის ჯარის ნაწილებზე, იქაც იწყება რყევა და უკან დახევი გზების ძებნა.

დენიკინის თავდაცემას საქართველოზე შეგნებული მიზანი აქვს, რომ უზრუნველ ჰყოს მოხალისეთა ჯარი სრული კატასტროფიდან; ჯერ კიდევ არ დარეკილა უკანასკნელი წამი დენიკინის აღსასრულისა, ამიტომ მის შეტევას არ აქვს გაფთრებული ხასიათი, მაგრამ შეიძლება დენიკინის შემოსევამ სტიქიონური ხასიათი მიიღოს, როცა დამპყრობლის მაგიერ ჩვენ ტერიტორიას შემოესია ბოლშევიკებისგან დამარცხებული რეაქციონერები და როგორც ნიაღვარი ისე წალეკავს საქართველოს მიწა-წყალს. თუ კავკავიდან დღეს შემოდის და იარაღს იყრის შემთხვევით დამარცხებული ბოლშევიკების ჯარი და მათი შემოსვლა საქართველოსთვის იმდენად დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს, სხვა ხასიათი ექნება დამარცხებული დენიკინის ჯარის შემოსვლას საქართველოში; ამ საფრთხეს მეტი უბედურება შეუძლია მოგვიტანოს, ვინემ კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებულ ბრძოლებს შეეძლოთ მოეტანათ რევოლუციის პირველ დღეებში.

ჩვენ გვესმის, რომ ხალხი დაიღალა უკანასკნელ ომების დროს და გულგრილობას იჩენს დენიკინის ჯარებთან ომში, მაგრამ ეს გულგრილობა იმდენად დაღლილობის შედეგი არ არის, როგორც იმისი, რომ ხალხს გათვალისწინებული არ აქვს დენიკინის საფრთხე.

მთავრობა და სოციალ-დემოკრატია მოვალე არის მეტი ენერგია გამოიჩინოს, რომ ხალხს აგრძნობიოს ეს საფრთხე; პირველ ყოვლის ეს შეიძლება სახელმწიფოებრივი ზეგავლენით და ზომების მიღებით, რომ მორალიზაცია მორალიზაციის ჰგავდეს და ომი ომს.

## საქართველოს საზღვრები

სანამ არსებობდნენ დამოუკიდებელი და ძლიერი სომხეთი, ბიზანტია და ტრაპეზუნდი (ძველი პონტი) საქართველოც დამოუკიდებელი ძლიერი იყო, რადგან მისი სომხეთის კარები დაკეტილი იყო. სომხეთისა, ბიზანტიისა და ტრაპეზუნდის დაშლის შემდეგ ეს კარებიც გაიღო, ზღუდენი მოიშალნენ და ოსმალოთა ტალღებმა წალეკეს და ჩამოგვაცილეს ნახევარი საქართველო, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ საქართველოსი იმდენად გაივსო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სამუსულმანო ქვეყნებიდან მომდინარე სომხებით, რომ მათ ფაქტიურად დაიმკვიდრეს დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოსი და მისი ერთი ნაწილი შეიერთეს კიდევაც.

ამ ახლო მომავალში, თუ მოულოდნელი არაფერი მოხდა, უნდა დამკვიდრდეს და შეიქნეს, მოკავშირეთა წყალობით, თითქმის ათასი წლის წინათ დაშლილი სომხეთი და თითქმის ხუთი საუკუნის წინათ დანგრეული ტრაპეზუნდი. ყოველი შეგნებული ქართველისთვის სომხეთისა და ბერძნულ ტრაპეზუნდის აღდგენა უდრის საქართველოს აღდგენას და მისი დამოუკიდებლობის გამტკიცება-დამკვიდრებას, რადგან: 1) საქართველოს საზღვრებს ჩამოეცლება და მეტად დასუსტდება ის ძალა—ოსმალეთი, რომელმაც დააქვეითა, დაასუსტა საქართველო და იქამდის მიიყვანა, რომ მან თვითონვე ხელი აიღო თავის სუვერენობაზე და თვისი თავი და ბედი უცხო სახელმწიფოს გადასცა; 2) იმ დრომდის, სანამ საქართველოს მოსაზღვრედ ოსმალეთი იყოლება, ჩვენი სამშობლო ვერ მოისვენებს, მთელ თავის ძალა-ღონეებს სამხრეთის საზღვრების დაცვას მოანდომებს და მალე იმდენად დასუსტდება ძალაუნებური მილიტარული პოლიტიკით, რომ ბოლოს ან ოსმალეთის ლუკმა გახდება, ან თავის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ისევ რუსეთს ჩაუვარდება ხელში.

3) სომხეთის და ტრაპეზუნდის აღდგენის შემდეგ წინა-აზიაში და კავკასიონის სამხრეთით დამყარდება ძალთა დაახლოვებითი სწორ-წონაობა და მშვიდობა.

ორასი წლის განმავლობაში ზემოაღნიშნული ტერიტორიაზე გაუთავებელი ომი სწარმოებდა ჩვენისთანა სუსტ ერების ზურგზე რუსეთსა და ოსმალეთის შორის, რომელნიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ევროპა-აზიის კარებსა და ხიდს: ამიერ-კავკასიას და სომხეთის ზეგანს. თუ მოკავშირეებმა ორივე სახელმწიფოს ხელი აალებინეს ამ კარებ-ხიდზე, ძლიერნი და გამარჯვებულნი ფრიად დაინტერესებულნი იქნებიან რომ წინა-აზიაში მშვიდობიანობის დასამყარებლად შექმნან, განამტკიცონ და დაამკვიდრონ დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი საქართველო, სომხეთი, ტრაპეზუნდი, ადერბეიჯანი, სირია, პალესტინო, ოსმალეთი, სპარსეთი და მესოპოტამია ისეთ საზღვრებში და ისეთის ძალისა, რომ აზიის ამ ნაწილში დამყარდეს ძალთა დაახლოვებით სწორწონობა.

ზემო აღნიშნულ და სხვა მიზეზთა გამო, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, საქართველომ ყოველი საშვალება უნდა იხმაროს და თვისი მცირე ძალა-ენერგია არ დაზოგოს, რათა ოსმალეთის ტერიტორიაზე შეიქნეს საქართველოს მოსაზღვრე ორი სახელმწიფო: სომხეთი და ტრაპეზუნდი.

თუ ახალი რყევა არ მოხდა ქვეყნისა, ეს გეგმა ადვილად შეიძლება განხორციელდეს, რადგან ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები ინგლის-საფრანგეთისა იტალიისა და შავი ზღვის ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებისა. პირველ სამ სახელმწიფოს ჰყავს დიდძალი ქვეშევრდომი მუსულმანი, რომელთა დამორჩილება და მართვა-გამგებლობა მეტად გაადვილდება და უზრუნველი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყნები მოსწყდებიან ტერიტორიულად ოსმალეთს, ე. ი. ამ ქვეყნებსა და ოსმალეთის შუა შეიქნება ახალი ერთი, ორი ან სამი საქრისტიანო სახელმწიფო—სომხეთი, ტრაპეზუნდი და სირია. მართალია, ეს სახელმწიფონი მხოლოდ ნომინალურად იქნებიან ქრისტიანული და დამოუკიდებელნი, მაგრამ არსებითად ამას მნიშვნელობა არ ექნება. ფაქტიურად სამივე სახელმწიფო იქნება რომელიმე ევროპიულ სახელმწიფოს კოლონია, დასახლებული ისეთი ერებით, რომელნიც ერთი მხრით წინააღმდეგნი იქნებიან ოსმალეთისა (სომხები, ბერძნები, ებრაელები, არაბები და სხ.), ხოლო მეორე მხრით—მუდმივი ქიშპობით ურთიერთ შორის ამ ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს გავლენა-ბატონობას გაადვილებენ და დაამყარებენ. ეს მესამე სახელმწიფო სირია-სომხეთში, როგორც ჩანს, საფრანგეთი იქნება.

საფრანგეთმა ორასი წლის მუშაობით დიდი საქმე გაიკეთა და ძლიერი გავლენის ძაფი გააბა სირიიდან მოყოლებული მოსული ვილაეტის გაყოლებაზე ურმიის ტბის ნაპირებამდის. ამ რაიონს იგი ხმამაღლა და აშკარად ედავებოდა ამ ომის დროსაც კი ინგლისსა და რუსეთსაც, ხოლო გამარჯვების შემდეგ აღნიშნული უფლება საფრანგეთისა უცილობელი შეიქმა.

გარდა ამისა, უკანასკნელ დროს ცხადად სჩანს სომხურ გაზეთებიდანაც კი, რომ სომხების იმედი უფრო საფრანგეთს ეყრდნობა, ვიდრე ინგლისს.

ეს მოსაზრებანი უფლებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ სომხეთისა და სირიის ბატონ-მფარველობა შეიძლება დაეთმოს საფრანგეთს, რომელიც სირია-კილიკიიდან სომხეთის ზეგანზე ამოვა და აქედან ეცდება გავრცელდეს ამიერ-კავკასიასა და ჩრდილოეთ სპარსეთზე.

აქ, სომხეთის ზეგანზე, ერთმანეთს ხვდებიან და ეჯახებიან საფრანგეთის და ინგლისის ინტერესები. მომავალის ისტორია გაიმეორებს წარსულისა და ხვალ სომხეთის ზეგანზე უცილობლად განმეორდება გუშინდელი ამბები: ნაცვლად რუსეთ-ოსმალეთისა და ოსმალეთ-გერმანიისა ერთმანეთს შეეყრებიან ინგლის-საფრანგეთისა და ინგლის-ოსმალეთის ინტერესები.

ინგლისისთვის ამიერ-კავკასიას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სუეცის არხს. ბათუმ-ბაქოს გზა ინგლისს ხელთ უგდებს მთელ ამიერ-კავკასიას, სპარსეთს და კასპიის გაღმა უშველებელ ტერიტორიას. ეს ადგილები და გზები, უკვე დაჭერილი ინგლისის მიერ, თავის პირდაპირი ფასისა და მნიშვნელობის გარდა, იფარავენ და იცავენ ინგლისის მთავარ [illegible]—ინდოეთს, ავღანისტანს, სპარსეთს და ახლად შეძენილ მესოპოტამიას, რომელნიც მხოლოდ ვიწრო ყელით—სუეცის არხით არიან გადაბმულნი მეტროპოლიასთან. ეს გარემოება უდიდეს ხიფათს უქადის ინგლისს, რომელიც ვერას გზით ხელიდან ვერ გაუშვებს უმთავრეს ნაყოფს თავის გამარჯვებისას: ზემოაღნიშნულ ახალ ქვეყნებს და ახალ ბათუმ-ბაქოს მოკლე გზას, რომელნიც მრავალჯერ უადვილებს ინგლისს ზემოხსენებულ ქვეყნების მართვა-გამგებლობას და შენარჩუნებას. ამ ძირითად დებულებიდან ისტორიულის აუცილებლობით გამომდინარეობს ინგლისის მხრივ გაფართოვება და დაცვა სამხრეთის მხრით ბათუმ-ბაქოს გასავლელ კორიდორისა (ჩრდილოეთის ხიფათი, ჯერჯერობით მაინც, სათვალავში არ ჩაითვლება), რომელსაც ჰკეტავს ერთად ერთი კარები—უძლიერესი ციხე ყარსი.

ეს სიმაგრე მარტო კავკასიის კარები კი არ არის, არამედ მთელი მცირე აზიისაც. იგი სტრატეგიული ღერძია შავიზღვისა, კასპიისა და ხმელთა შუა ზღვის შორის მდებარე ქვეყნებისა. პირვანდელ ისტორიიდან მოყენებული ამ პატარა წერტილზე დაიწყო და დასრულდა ბედი მრავალ ხალხისა: სომხეთისა, საქართველოსი და ოსმალეთისაც. სამხედრო მეცნიერებას უცოდობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ ყარსის მფლობელს ერთი ფეხი კავკასიაში უდგა, მეორე კი ოსმა-

# უკანასკნელი ცნობები

გერმანიის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარედ ცენტრის დეპ. ფერენმახი აირჩიეს.

რუმინიაში ბოლშევიკური მოძრაობა ძლიერდება, მეფე-დედოფალი იასში გაიქცნენ.

მოკავშირენი რუმინიას უარს უთვლიან ბანატის და ტემეშვარის დაპირებაზე.

საზავო კონფერენციაზე საბერძნეთმა მოითხოვა სტამბოლი და ოსმალეთის რამდენიმე პროვინცია.

ბალფასტი აჯანყებულ მუშების ხელშია.

ლონდონში 2 მილიონი მუშა იფიცება

ვილსონი ამერიკას გაემგზავრა.

---

ლეთში და ბატონ-პატრონია ორივე ქვეყნისა. ინგლისმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის ფასი და მნიშვნელობა ყარსისა, ამიტომ იგი არც ერთს დიდ სახელმწიფოს არ დაუთმობს მას. ამ მოსაზრებათა გამო ყარსის რაიონში უნდა დაეჯახნენ ერთმანეთს ინგლის-საფრანგეთის ინტერესები, და საქართველომ ამ გარემოებით უნდა ისარგებლოს, გამოიყენოს იგი თავის სასარგებლოდ და სცადოს დამკვიდრება დიდი საქართველოსი: მხოლოდ ამის შემდეგ მას შეერგება და გამოადგება სამუდამო ნეიტრალიტეტის ძებნა და მოპოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში დღევანდელ ფარგლებში მოქცეული საქართველო იძულებული იქნება უარი სთქვას თავის ნეიტრალიტეტზე, როგორც საბერძნეთი მოიქცა 1861 წელს.

მ. ადამაშვილი.

(დასასრული იქნება).

## მთავრობის წრეებში

### იუსტიციის სამინისტროში

დაბრუნდა ქ. თბილისში და თანამდებობის ასრულებას შეუდგა იუსტიციის მინისტრი შ. გ. ალექსი-მესხიშვილი.

—

იუსტიციის მინისტრმა მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვნით, რათა რესპუბლიკის ყველა ქალაქის თვითმართველობათ და სამაზრო საერობო გამგეობათ ცირკულიარულად მიეწეროს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ნაფიც მსაჯულთა საერთო სიების შედგენას და ეს სიები წარუდგინონ სათანადო ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს.

—

სოხუმის საგანგებო სასამართლოს პროკურორის ამხანაგის დანევსკის გარდაცვალების გამო იუსტიციის სამინისტრომ წარადგინა ხსენებულ თანამდებობაზე ყოფილი პროკურორის ამხანაგი თბილისის ოლქის სასამართლოსი კონსტ. იოს. მოძალევსკი.

—

იუსტიციის სამინისტროში შემოვიდა ძეგვის ხიდის ამფეთქებელთა გ. შმაგაილოვის და მ. კუჩერიანცის ვექილთა თხოვნები დამნაშავეთა შეწყალების შესახებ. თხოვნები გადაეცა რესპუბლიკის მთავრობას. ამ ჟამად ორივე დამნაშავე ავად იმყოფება შავი სახადით.

—

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას განსახილველად საქართველოს სენატის დაარსების დებულების საბოლოოდ შემუშავებული კანონპროექტი.

—

იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა სამინისტროს ხელქვეით დაწესებულებათ სამი დღის განმავლობაში წარმოადგინონ პროექტი შტატების შემცირებისა.

—

სამინისტროს წინადადებით, სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებებშა უნდა წარუდგინონ სამინისტროს სია მათთვის საჭირო სახელმწიფო ბეჭდებისა, რომლებიც გამზადებულ იქნება სახელმწიფო გერბის ი ა. შარლემანის ხელმძღვანელობით.

—

თბილისის საპყრობილეების რევიზია სწრაფის ტემპით მიმდინარეობს. რევიზიას ხელმძღვანელობს თბილისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ა. ა. კარასიოვი.

—

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილების წევრი გ. კაპანაძე და თუმანიშვილი დაინიშნენ იმავ სასამართლოს ადმინისტრატიულ განყოფილების წევრებად, ხოლო ადმინისტრატიულ განყოფილების წევრად ქუთაისისავე ოლქის სასამართლო უფროსი ნარაძე.

—

სასამართლოს პალატის პროკურორმა გ. ი. გელაზარიშვილმა შეადგინა მცირე ინსტრუქცია მილიციის მოხელეებისათვისა უწყებების ჩაბარების და კვლევა-ძიების წარმოების შესახებ. ინსტრუქცია მალე დაიბეჭდება და დაურიგდება ქალაქის და მაზრის მილიციის მოხელეებს.

—

მთავრობის დადგენილებით, საგანგებო რაზმის მიერ ჩამორთმეულ ქონების დაცვის საკითხი უნდა გამოირკვეს იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროთა წარმომადგენელთა შემდგარმა კომისიამ იუსტიციის სამინისტროს მხრივ ხსენებულ კომისიის წევრად დაინიშნა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი გ. თ. ჟორდანია.

## დეპეშები მთავრობის თავმჯდომარის სახელზე

**ს. ველისციხე** ველისციხის მომხმარებელ საზოგადოების წევრნი თავის წლიურ კრებაზე გაეცნენ რა დენიკინის ვერაგულათ საქართველოზე თავდასხმას, აცხადებენ ენერგიულ პროტესტს მტრისადმი და სდებენ საზოგადოების მოგებიდან ნიშნად მთავრობისადმი თანაგრძნობისა 10,000 მან. ომში დაჭრილ-დაავათმყოფებულ ჯარისკაცთა და გვარდიელთა სასარგებლოთ. კრების თავმჯდომარე ისაკოვი.

**ქ. ხონი.** ქალაქ ხონის განახლებულ საბჭო მიესალმება ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მთავრობას და აღუთქვამს მას ენერგიულ დახმარებას მის მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯებში, რომლებიც მიმართული იქნება დემოკრატიულ საქართველოს საკეთილდღეოდ. საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჭავჭანიძე.

## ქრონიკა

**საქველმოქმედო საღამო** შაბათს 22 თებერვალს, მე-7-დე ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართება დიდი საღამო—კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით. ცეკვა, ბუფეტი ვახშამი შესასვლელი ფასი 10 მან. (ყოფილ ქალთა ინსტიტუტის შენობაში).

**დუშეთიდან იტყობინებიან,** რომ დიდი თოვლის გამო არჩევნები არ შემდგარა.

**სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის ქაჩაზნუნის გამგზავრება ევროპაში.** ხვალ თბილისში მოელიან სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს ქაჩაზნუნს, რომელიც ამ დღეებში ევროპაში გაემგზავრება.

**სახადი** ანანოვის ქალების სასწავლებლის მოწაფეთა შორის ძალიან გაძლიერდა სახადი; ამის გამო მოწაფენი ორი კვირით დაითხოვეს.

**ინგლის—ამერიკის** სამეურნეო ეკონომიური ბიუროს წევრებმა ინახულეს სომხეთის პარლამენტში თავმჯდომარე საჰაკიანი და განუცხადეს, რომ მოკლე ხანში სომხეთისათვის სურსათის შეძენა შეუძლიანთ.

**სიძვირე.** საქონლის ხორცის უქონლობის გამო 15 და 16 თებერვალს სანოვაგის ფასმა ძალიან აიწია. ქათამი, რომელიც წინად 30 მან. ღირდა, 60 მან. გახდა, ინდოური, რომელიც ღირდა 50, 60 მან. იყიდებოდა 120, 140 მანეთად. თევზის ფასმაც აიწია.

**უწყლობა თბილისში.** 15 და 16 თებერვალს დიდი ყინვების გამო წყალსადენ მილებში წყალი გაიყინა და მთელი ქალაქი უწყლოდ დარჩა. ამ სამ დღეში ხალხი მტკვრიდან მიეზიდებოდა სახლში მტკვრის წყალს. წყლის დამტარებელი მუშები ვედრაში 3—4 მან. იღებდნენ.

**პროტესტი კათოლიკოზის არჩევნების შესახებ.** ზუგდიდიდან შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „ვაცხადებ პროტესტს ლეონიდის კათალიკოსად არა კანონიერ და არა-დემოკრატიულ არჩევნების გამო. მოვითხოვ პროტესტის დადგენილების ასრულებას". მღვდ. ტროფ. ჯახტამერიძე.

**პარლამენტის წევრი** ავეტისიანი იტყობინება, რომ ბელიკლიუჩის რაიონში კომისარმა ქარცივაძემ აუკრძალა აგიტაცია დამფუძნებელ კრებისათვის და აგრეთვე შეიპყრო ავეტისიანი და დაშნაკელი კირჩიანი.

**მოკვლა.** გუშინ დილის 8 საათზე უცნობ ბოროტგამზრახველმა რევოლვერით მოკლა ავ. მინასიანცი.

**ქურდობა.** 16 თებერვალს ღამით, სასტუმრო „კავკაზ"-ში მცხოვრებ ა. არუტინოვს უცნობ ბოროტგამზრახველებმა მოჰპარეს ფული და ძვირფასი ნივთეულობა 35000 მან. ღირებულობისა.

**ქურდობა.** 16 თებერვალს ღამით ქ. ჯავახიშვილის ბინიდან (სემენოვის ქუჩა № 1) უცნობ ბოროტგამზრახველებმა გაიტაცეს ფული და სხვა ძვირფასი ნივთეულობა 60000 მანეთისა.

**სიკვდილი.** 16 თებერვალს დილის 9 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში ი. ბუაჩიძემ თავისი ცოლი შუშანიკა მოკლა.

**ლექცია.** ნაძალადევის თეატრში, სამშაბათს 18 თებერვალს, საღ. 6 ს. ექ. ტურიაშვილი წაიკითხავს ლექციას: „ტანისამოსის და აბანოს მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის".

## პროვინციის ცხოვრება

**ოზურგეთი.**

14 თებერვალს სოციალ-დემოკრატიულ გურიის კომიტეტის მრეზიდიუმის ინიციატივით მოხდა გურიაში მომქმედ ყველა პოლიტიკური პარტიების ინტერ-პარტიული კრება, რომელზედაც განიხილეს დენიკინის გამოლაშქრებისა და ახალციხის ბანდების გამოსვლებით შექმნილი მდგომარეობა. კრებამ ერთხმად აღიარა 1) დღევანდელ მომენტში ერთ რევოლიუციონურ მძლავრ ფრონტის შესაქმნელად გაერთიანების აუცილებლობა 2) მთავრობამ გადაჭრილი ზომები უნდა მიიღოს გარეშე ძალის პოლიტიკის გარკვევაში და 3) მობილიზაცია სწრაფათ უნდა ჩატარდეს. კრებამ გაგზავნა შესაფერი მისალმება მთავრობისადმი და გამოსცა საერთო მოწოდება ხალხისადმი. შედგა სამაზრო და სასოფლო კომისიები ყველა პარტიის წარმომადგენელთაგან, რომლებმაც უნდა აღმოუჩინონ ზნეობრივი და ფიზიკური დახმარება ადგილობრივ მთავრობას მობილიზაციის საჩქაროდ ჩატარებაში.

**ფოთი.**

თებერვლის 16. გუშინ ნოვოროსიისკიდან მოვიდა გემი „კონსტანტინე" რომელზედაც აღმოჩდა ორმოცამდე მოხალისეთა ჯარის კაცი და აფიცრები. მათ შორის ერთი გენერალია. როგორც გამოირკვა გემი სოჩაში უნდა შესულიყო, სადაც მიჰქონდა სურსათი: პური, ფქვილი და სხვა, ზღვაზე ცუდი ამინდის გამო, გემმა ბათუმის ნავთსადგურში განიზრახა თავის შეფარება. მიუხედავათ ამისა კაპიტანმა გემი ფოთის ნავთსადგურში შემოიყვანა. სადაც იგი მაშინვე დატყვევებულ იქმნა. მოხალისეებს იარაღი აჰყარეს, ხოლო პურის ფქვილის და სხვა სანოვაგეს კონფისკაცია მოახდინეს.

**ქ. ზესტაფონი**

ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს მომხმარებელ საზოგადოების გლეხთა კავშირის საწყობი და გაძარცვეს მაღდაკელიძის სავაჭრო.

**ს. აშკვერი**

გაძარცვეს ინდო-ევროპიულ ტელეგრაფის კონტროლიორი ბაუმერცი.

**ს. ეწერი**

გადიწვა ადგილობრივი კოოპერატიული დუქანი.

**ს. მახათი**

შეიპყრეს ყაჩაღები ვალ. ძიძიგური და ივ. ქაჯაია. უკანასკნელი გაქცევის დროს მოჰკლეს.

**ს. გუნწი**

გაძარცვეს ვ. კირთავა. წაიღეს 29,795 მანეთი. მძარცველები შეიპყრეს.

**ს. ხუმაშორა**

ვარლამ კიკალეიშვილმა მოჰკლა თავისი მეზობელი ხურილავა.

**ს. ნაესაკოვი**

კონდრატი კიზირიამ მოჰკლა თებრონე ხოშტარიასი.

## მისალმება საქარ. კათოლიკოზ-პატრიარქისადმი

11 თებერვალს კათოლიკოზ-პატრიარქის არჩევა მოხდა. გუშინწინ ამის გამო საკათოლიკოზო სასამართლოს წევრებს თათბირი ჰქონდათ და დაუდგენიათ მისალმონ ახლად არჩეულ კათალიკოზს. დამწრე წევრთა მთელი შემადგენლობა წარსდგა კათოლიკოზის წინაშე, მიესალმა მათ უწმიდესობას. თბილ სიტყვაში, რომლითაც მიმართა გ. ჟორდანიამ, აღნიშნულ იქმნა ნაყოფიერი და ერთგული სამსახური ეკლესიისა და სამშობლოსადმი.

## დამფუძნებელ კრების არჩევნები

### თბილისის ქუჩებზე

ჯერ კიდევ არჩევნების წინა დღით 13 თებერვალს ნათლად სჩანდა, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები ქალაქში ვერ მიიღებდნენ იმ სიცხოველეს, რომელიც წარსულს ეტყობოდა. ქუჩებში კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდნენ პარტიების რეკლამები, რომელნიც უწინ ყოველ კუთხეს ავსებდნენ.

14 თებერვალს, არჩევნების პირველ დღეს საოცარი ამინდი დადგა. მოქალაქენი ვერც კი ბედავდნენ ქუჩაში თავისუფლად სიარულს, არა ჩვეულებრივ ყინვის გამო, რომელმაც 5% დაიწია. ამ დღეს რომელიმე ყუთთან მისულ ამომრჩეველთა უდიდესი რიცხვი 100 კაცს არ აღემატებოდა.

15 თებერვალს მზიანი ამინდის გამო თბილისის ქუჩებს მეტი სიცხოველე დაეტყო. 1-ლი №-ით მორთული ტრამვაები, რომელნიც შუადღისას გაჩირაღდნებული იყო უფასო ელექტრონით, მოწმობდნენ, რომ საარჩევნო კამპანია იწყებოდა ყოველ კუთხეში აიმართა პირველი №-ის სარეკლამო ბოძები. ქუჩებში გამოიკიდა მეორე №-იც. თანდათან სხვებიც ჩაერიენ ამ კარტეეში და ქალაქმაც მალე იცვალა ფერი, მაგრამ თვით ამომრჩეველთ სიხალისე მაინც არ დაეტყო და საარჩევნო კომისიები ზოგიერთ უბნების გარდა მაინც ცარიელი რჩებოდა.

ეს იყო უკანასკნელ დღის ნაშუადღემდე. მოულოდნელათ, ხმების დათვლის დროს, ყუთები სავსენი აღმოჩნდენ კონვერტებით. ეს გარემოება დაეტყო განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც კომისიის შემადგენლობანი მცირე რიცხოვანნი იყვნენ, ან მხოლოდ ერთი, ან ორი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ.

—

## ბოროტ-მოქმედებანი არჩევნებში

არჩევნების დასრულების შემდეგ მრავალი ბოროტ-მოქმედებანი აღმოჩნდენ. გამოირკვა, რომ უმეტეს წილათ საუბნო საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეთ არა თუ იცოდენ საარჩევნო კანონი, თვით არღვევდენ მათ და ნებით თუ უნებლიეთ, საშუალებას აძლევდენ ზოგიერთ პარტიები აშკარა ბოროტ-მოქმედებანი ჩაედინათ.

მაგალითად მე-20 პუნქტში ადგილი ჰქონდა შემდეგს ფაქტებს: ჩვენი პარტიის წარმომადგენელმა ხსენებულ კომისიაში განაცხადა, რომ 15 თებერვალს, 9 საათზედ, როდესაც კომისია კანონის თანახმად დაიხურა მეორე დღის 9 საათამდის, ხმის მისაცემად გამოცხადებულ პირთა რიცხვი დაახლოებით ას კაცს უდრიდა, ხოლო მეორე დღეს 16 თებერვალს, დილის 10 საათზედ როდესაც იგი მივიდა კომისიამ, გამოცხადებულთა რიცხვი სამას კაცს აღემატებოდა. კომისიაში ამ დროისათვის მხოლოდ ორი წარმომადგენელნი იყვნენ: სოც.-დემ. და სოც.-ფედ. ბიულეტენების დამრიგებელნი კი აცხადებდენ, რომ დილით ყუთთან 10—15 კაცზედ მეტი არ მისულა.

რასაკვირველია, ძნელი წარმოსადგენია, რომ თუ ორი დღის განმავლობაში გამოცხადდა მხოლოთ 100 კაცი, ერთ საათში ძნელი წარმოსადგენია 100 კაცის მისვლა. საინტერესოა შემდეგიც არჩევნებისა ამ კომისიაში წარსულ არჩევნებიც და ეხლა: მაშინ, 1-ლმა № მიიღო 132, ეხლა № 2—34, № 5—18, ეხლა კი 1-ლმა მიიღო 292, № 2—38, № 5—161. განსხვავება 18-სა და 16-ს შორის თავისთავად მეტყველია ამ უბანში მომხდარი ფაქტისა.

ეხთივე ამბავი განმეორდა მრავალ ალაგას. მე-49 პუნქტები, დიდუბეში ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტს: დამფუძნებელი კრების მომწყობ ცენტრალურ კომისიის წევრმა ლ. ჯაფარიძემ შენიშნა, რომ საარჩევნო კომისიის კარებთან უცნობ პირს ხელში ეჭირა საპირადო ბარათების მთელი გროვა და ჩუმად აწვდიდა ქალს. საპირადო ბარათები დაუყოვნებლივ ჩამორთმეულ იქმნა. ამ ფაქტის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისიის დადგენილებით იმ პირთა საპირადო ბარათები, რომელნიც სახლში ვერ მიუღიათ, ეგზავნებოდათ თავიანთ ბინებზედ, რომ საარჩევნო ყუთთან მოსულიყვნენო; თავმჯდომარის განცხადებით ეს ხდებოდა კომისიის ყველა წევრთა თანხმობით, რაც სავსეებით არ დადასტურდა. ის პირი კი, რომელიც ამ ბარათებს არიგებდა აღმოჩნდა ბიულეტენების № 1-ის. დამრიგებელი ვინმე შენგელია.

ადვილი გასაგებია, თუ რაში იყო საქმე. ამ ფაქტის შესახებ შედგენილ იქმნა ოქმი და მთავარ საქალაქო კომისიის დადგენილებით, ბ-ნ ჯაფარიძის განცხადება და საუბნო კომისიის მთელი საქმე გაეგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რათა მას კანონიერი მსვლელობა მიეცეს.

—

ავლაბრის კლუბში დატუსაღებულ იქმნა ორი პირი, რომელიც დაშნაკცაკანების პარტიის სასარგებლოდ აძლევდენ ხმას სხვის მაგივრად. იმავე ბინაზედ აღმოჩნდა დაშნაკცაკანების ბიურო, სადაც ყალბი მოწმობები მზადდებოდა. ბიურო დაკეტეს.

—

ერთობის უბანში დაატუსაღეს 7 პირი ყალბი მოწმობებით, რომელნაც მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის აგენტები აღმოჩნდნენ.

—

მე-20 პუნქტში, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 520 კაცმა, ხოლო კონვერტების დათვლის დროს აღმოჩნდა 30 მეტი. აშკარა ბოროტმოქმედების გამო, ამ უბნის არჩევნების შედეგი, საქალაქო კომისიამ მხედველობაში არ მიიღო.

—

## პროვინციაში

პროვინციიდან მოსული ცნობებით, არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა ძალიან მცირე ნაწილი. გაუვალი თოვლი, მთაგორიან ადგილებზედ და ქარ-ბუქი აძნელებდა არჩევნების მსვლელობას.

—

ლეჩხუმში ცენტრალურმა კომისიამ მიიღო ლეჩხუმის სამაზრო კომისიის შუამდგომლობა, რომ ლეჩხუმის მაზრაში არჩევნები გაგრძელებული ყოფილიყოს ცუდი ამინდის გამო, რომელიც შეუძლებლად ხდის არჩევნების წარმოებას. ცენტრალურმა კომისიამ ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა.

## არჩევნების შედეგი თბილისში

| | | | |
|---|---|---|---|
| სოც.-დემოკ. | (№ 1) | მიიღეს | 27135 ხმ. |
| ნაც.-დემოკ. | (№ 2) | „ | 3647 „ |
| სოც.-რევოლ. | (№ 3) | „ | 134 „ |
| დაშნაკცაკან. | (№ 4) | „ | 788 „ |
| ს.-ფედერალ. | (№ 5) | „ | 3640 „ |
| მუსულმანებმა | (№ 6) | „ | 0 — |
| რადიკალ-დემ. | (№ 7) | „ | 145 „ |
| ეროვნულ. პარ. | (№ 8) | „ | 368 „ |
| ს.-ფ. მაშვრ. პ. | (№ 9) | „ | 369 „ |
| რუსთაველ. პ. | (№ 10) | „ | 52 „ |
| უპარტ. ჯ. | (№ 11) | „ | 480 „ |
| ბორჩ. მაზ. მ. | (№ 12) | „ | 0 — |
| რ. სოც.-დემ. | (№ 13) | „ | 310 „ |
| ესტეტ. ლიგ. | (№ 14) | „ | 16 „ |
| ელინელები | (№ 15) | „ | 12 „ |

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 37,126 ამომრჩეველმა, საერთო რიცხვი ამომრჩეველებისა კი 71 ათასი იყო.

## არჩევნების შედეგი პროვინციაში

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ დილის 12 საათამდის შემდეგი ცნობები მიიღო პროვინციიდან არჩევნების შედეგის შესახებ.

| | ს.-დ. 1 | ერ.-დ. 2 | ს.-რ. 3 | დაშნკ. 4 | ს.-ფედ. 5 | ეროვ. 8 | პ. მაშ. პ. 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოზურგეთი | 971 | 314 | 54 | — | 23 | — | 60 |
| ყვირილა | 1069 | 364 | 32 | 4 | 109 | 53 | 1 |
| შიათურა | 433 | 120 | 44 | — | 50 | — | 12 |
| ფოთი | 2911 | 498 | 73 | 9 | 240 | 7 | 3 |
| გორი | 2033 | 388 | 11 | 108 | 519 | 54 | 29 |
| ქუთაისი | 7494 | 2971 | 151 | 73 | 1219 | 137 | 299 |

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

### გერმანული პრესა.

**სპარტაკელთა საქმის გარჩევა.** დასრულდა ამბოხების მომწყობ სპარტაკელთა საქმის გარჩევა. მათ მიუსაჯეს ციხეში დაპატიმრება 3 თვიდან 1 წლამდე.

**სპარტაკელები მაგდებურგში.** მაგდებურგში თებერვლის 7 ხელის ყუმბარებით შეიარაღებული 80 მუშა ციხეს დაეცა და დაპატიმრებული სპარტაკელნი გაანთავისუფლეს.

**პრეზიდენტი ებერტი.** ებერტის პრეზიდენტად არჩევის გამო გაზეთებს მოყავთ ცნობები მისი აღზრდისა და ოჯახურ მდგომარეობის შესახებ. ებერტი დაიბადა ჰაიდელბერგში 1871 წლის თებერვლის 4. მისი მამა თერძი იყო. ფრიდრიხ ებერტი ჯერ სახალხო შკოლაში სწავლობდა, შემდეგ მან შეისწავლა მამის ხელობა. ებერტს ადრე გაეღვიძა ინტერესი მუშათა საკითხისადმი და 21 წლისა იყო, როცა 1892 წელს გაემგზავრა ბრემენში, სადაც რედაქტორობდა სოც.-დემ. „ბრემენის გაზეთს". 1894 წელს მასის 11 ჯვარი დაიწერა ადგილობრივ მცხოვრებ ლუიზა რუმპზე. 1900 წელს ის მუშათა კავშირის მდივანი იყო. 1915 წელს წევრად შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გამგეობაში. 1905—6 წ. ებერტი ბრემენის მდაბიო მოქალაქეთა წოდების წევრათ იყო.

რეიხსტაგში არჩეულ იქმნა 1912 წ. იანვარში. 1913 წელს აგვისტოში ავგუსტ ბებელის გარდაცვალების შემდეგ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარის ადგილი დაიკავა. ებერტს ჰყავდა 5 შვილი: 4 ვაჟი და 1 ქალი, რომელიც ახლა 18 წლისაა. 2 შვილი ომში დაკარგა, 2 გადარჩენილი ვაჟი დაახლოვებით 20 წლისანი არიან. ცოლი 45 წლისაა.

**ბოლშევიკური ცნობები.**

მოსკოვი. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი).

**ბალაშოვი** თებერვლის 12. მტერი სამხრეთით იხევს; უბრძოლველად დავიჭირეთ სოფლები: ნისტიაკოვკა და ჩერნიშევკა. დონის მხარის... ვედიცის ოლქ... ლია... ამ ი... კონ... დგენილია. დონის სამხრეთით ხელთ ვიგდეთ აბრამოვის რაზმის ტრანსპორტი, ხოლო რაზმიდან თავის ნებით დაგვნებდა 200 ყაზახი.

**ორენბურგი** თებ. 12. ორენბურგის განთავისუფლებულ სოფლების ყაზახებმა დაადგინეს აღიარონ საბჭოთა მთავრობა. დაადგინეს აგრეთვე მოუწოდონ გენ. დუტოვთან წასულ ყაზახებს დაბრუნდენ და მონაწილეობა მიიღონ მშრომელ ყაზახთა ცხოვრების მოწყობაში, რადგან საბჭოთა მთავრობა და წითელი არმია ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც მათ თეთრგვარდიელთა ოფიცრობა ხატავდა.

**რიგა** თებ. 12. ლიტვის საბჭოთა მთავრობის დეკრეტით გაუქმდა რიგის ბირჟის კომიტეტი და მოახდინეს მისი ქონების ნაციონალიზაცია. ლატვიის სოც.-დემოკრატიული პარტიის ქ. რიგის კომიტეტმა, რომელიც აქამდე ფარულად მუშაობდა, ხუთივე რაიონში მოქმედება განაახლა.

**რიგა** თებ. 12. მარიენბურგის მიმართულებით ლატიშელთა წითელმა ჯარმა მტერი განდევნა და ახალი ხაზი დაიჭირა.

**ხერსონი** თებ. 13. პეტლიურის მომხრეთა განკარგულებით ვოლინის გუბერნიაში ყველა ქალაქის გამგეობები დაითხოვეს და სამართლებმა მისცეს. მდგომარეობა გაზორკვეული არ არის და მტკიცე ძალა-უფლება არ არსებობს, არა საიმედო ჯარისკაცებს პეტლიურას მთავრობა ხვრეტს.

**კიევი** თებ. 12. დირექტორიამ კიევიდან გაქცევისას თან წაიღო დიდძალი ოქრო, ვერცხლი და ქაღალდის ფული. ქალაქიდან წასვლის წინ პეტლიურას ჯარი ამტვრევდა ოქროსულების მაღაზიებს და განძეულებას იტაცებდა, ლიტველთა წითელმა ნაწილებმა მიაღწიეს მდინარე ნიმანს. კობრინის მიმართულებით ბელორუსთა წითელმა ნაწილებმა დაიჭირეს დაბა კარტუზი.

**სამხრეთის ფრონტი.** დონეცის რაიონში ბრძოლით დავიჭირეთ სოფ. ლოკვეინოვო. დვინსკის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. მიდენოს მიმართულებით ბრძოლის შ... მა ჯარმა რამო...

დავიჭირეთ. უფის რაიონში ძლიერი ბრძოლები გრძელდება.

**მოსკოვი**, თებერვლის 13. კუნგურის მიმართულებით მტრის ძალდატანებით ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. მდ. ბაიას ველზე ბრძოლით დავიჭირეთ ს. ხუპროვსკაია. უკრაინის წითელი ჯარი ხერსონისა და ნიკოლაევისკენ შეტევას აწარმოებს და შავ ზღვას 80 ვერსის დაუახლოვდა. უკრაინის წითელმა ჯარმა მელიტოპოლ-ბერდიანსკისკენ წაიწია და აზოვის ზღვას 75 ვერსით დაუახლოვდა.

**მე-№ არმიის შტაბი**, თებერვლის 14, ჩვენ დავიჭირეთ ბორისოგლებს-ცარიცინის რკინის გზა.

**მოსკოვი**, თებერვლის 14. ობსერვატორიიდან ცნობა მოვიდა, რომ რკინის გზებზე მოსალოდნელია დიდი თოვლი. ტროცკიმ ბრძანება გასცა, რომ რკინის გზების თოვლისაგან გასაწმენდათ ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა მოიხმართონ ყველა ახლო-მახლო მდგარი სამხედრო ნაწილები და რკინის გზით მიმავალი ეშელონები.

**რადეკის დაპატიმრება.**

**ბერლინი**, თებერ. 12. კარლ რადეკი დააპატიმრეს ბერლინის სპარტაკელთა ბიუროში, სადაც სპარტაკელებს კრება უნდა ჰქონოდათ ბერლინში ჩამოსულ ეიხჰორნთან ერთად. რადეკი მოაბიტის ციხეში გაგზავნეს. მის აღმოსაჩენად დანიშნული იყო ჯილდოთ 20,000 მარკა.

**ნაუენი**, თებერ. 14. თებერვლის 12 ბრესლავოში მოხდა უმუშევართა კრება. დემონსტრაციის შემდეგ მუშებმა სცადეს დაპატიმრებულ ამხანაგების განთავისუფლება.

**რიგა**, თებერ. 14. კილში საერთო გაფიცვაა. საბჭოთა მთავრობის დეკრეტით ლატვიაში ყველა ბანკების ნაციონალიზაცია მოხდა. კერძო ბანკები თავის საქმეებს აბარებენ სახალხო ბანკს. კერძო პირთა თანხას, რომელიც 10,000 აღემატება, კონფისკაციას უშვრებიან. ვისაც ათი ათასზე ნაკლები თანხა აქვს, მას ფული თვიურათ მიეცემა, 400 მანეთი თვეში. რეველიდან ცნობაა, რომ რეველის ნავთსადგურიდან ზღვაში გავიდე ინგლისის გემები, ინგლისის დელეგაციის თავჯდომარემ რეველში აცნობა ესტლანდიის ბურჟუაზიულ მთავრობას, რომ ინგლისმა გადასწყვიტა არ გააგზავნოს ჯარი ესტლიანდიაში.

**ჰამბურგი**, თებერ. 14. როგორც ბელოსტოკის გაზეთები იუწყება, რეველის და ფინლიანდიის მთავრობათ შორის შეთანხმებაა.

**ჩერნიგოვი**, თებერ. 15. პოდოლის გუბერნიაში აჯანყება ფართო ხასიათს იღებს. კამენეც-პოდოლსში, იამპოლში და მოგილიოვში აჯანყება ძლიერდება. ამ ადგილებში დიდი ბრძოლებია პეტლიურას ჯარსა და აჯანყებულ გლეხებს შორის.

**ლონდონი**, თებერ. 7. რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონიდან აუწყებენ, რომ ამერიკის სენატში შეიტანეს საყოველთაო სამხედრო ბეგარის კანონპროექტი.

**ბოლშევიკები**

**თბილისი**. თებერვლის 16. ინგლისის მისიის ცნობა. ბოლშევიკები ჩრდილოეთისკენ უკან დახევას განაგრძობენ. მათ ხდევნის მოხალისეთა ცხენოსანი ჯარი. მოხალისეთა ჯარის მიერ ყიზლიარის დაჭერის შემდეგ, ბოლშევიკებმა 9 თებერვალს დასცალეს ბაქილი და ალექსანდროვსკო.

**შვეიცარიის ს.-დ. დადგენილება.**

**მოსკოვი**. რიგა, თებერვლის 12. მემარცხენე სოციალისტის პლანტენის წინადადებით შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიამ დაადგინა ბერნის კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოს. პარტიის თავმჯდომარე მიულერი გადადგა.

**დიუსელდორფი**, თებერ. 12. ძალაუფლება ქალაქში სპარტაკელთა ხელშია. ბურჟუაზიულ და ხელოსანთა ორგანიზაციები გაფიცვით იმუქრებიან და მცხოვრებლებს მოწოდებით მიმართეს სპარტაკელთა მთავრობას გადასახადები არ აძლიონ.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი**. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. სამხედრო ცნობა. თებერვლის 13. ჩრდილოეთის ფრონტი, ჩერდინის რაიონში, მტერმა იერიშები მოიტანა, მაგრამ უკუ ვაქციეთ. მეზენსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა სადგური უსულსკაია დასტოვა. არხანგელსკის რაიონში ჩვენმა მზვერავმა რაზმმა მდინარე დვინაზე ბრძოლაში გაიმარჯვა. ონეგის რაიონში სოფელ პრილუკისთან შეტაკებაა. ნარვის რაიონში მოწინააღმდეგემ წითელ ესტონელთა ნაწილებს შემოუტია სოფელ ფეოდოროვკასთან მაგრამ კონტრ-იერიშით უკუ გდებული იქნა.

**დასავლეთის ფრონტი.** კეიდანის მიმართულებით მოწინააღმდეგემ დაბა თშატი დაიჭირა. ლიტოველთა წითელმა არმიამ კონტრ-იერიშით მოიგერია მოწინააღმდეგე. კოველსკის მიმართულებით ბელოროსიელთა ნაწილებმა სადგური მენევიჩი დაიჭირეს. რაზენის მიმართულებით სადგურ კლესოვო დაიჭირეს.

**სამხრეთის ფრონტი.** დონეცის ოლქში ბრძოლაა. უსტ-ხოპიორის რაიონში ჩვენი ჯარი განაგრძობს მტრის დევნას. უბრძოლველად დავიჭირეთ კისტიაკოვკა, უსტოხოპერის სამხრეთით. ცარიცინის რაიონში სადგურ ლოგის სამხრეთ-დასავლეთით სტარო გეორგევკა დავიჭირეთ.

**ბრძოლა უკრაინაში.**

უკრაინის საბჭოთა ჯარის შტაბის სამხედრო ცნობა. 10 თებერვალი. შპოლის რაიონში პარტიზანული რაზმები განაგრძობენ შეტევას. ბახმუტის რაიონში საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.

**ხარკოვი** თებერვლის 12. მახნოს რაზმმა სოფელი ბახანი დაიჭირა. მახნომ მოხალისეებს შეუტია სოფელი ვოსკრესენსკო და სადგური მაგედოვო დაიჭირა.

**დონის როსტოვი.** ტაგანროგის რკინის ქარხნის გაფიცვების დაშვების გამო გამგეობა სამხედრო საველე სასამართლოს გადაეცა.

**დონზე** საბჭოთა ჯარის მოახლოვებასთან ერთად იწყება მუშების აჯანყება.

**ბარმაჩი.** თებერვლის 11 სადგურ პოპასნოებთან საბჭოთა ჯარმა კრასნოვსკის ოფიცერთა ბანდა დაამარცხა. ხელთ იგდო 3 ზარბაზანი და 4 ტყვიის მფრქვეველი. მოწინააღმდეგე გაიქცა.

**ვილნო.** თებერვლის 11. ლიტვის რევოლიუციონურ მთავრობის განკარგულებით გერმანიის ელჩები, რომელნიც რიგიდან გერმანიაში მიემგზავრებიან ვილნოში იქნებიან დაპატიმრებული, სანამ კოვნოში არ გაანთავისუფლებენ მუშათა საბჭოს დეპუტატებს, რომელნიც გერმანიის მთავრობამ დაატყვევა.

**ხარკოვი** თებერვლის 12. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საპატიო დროშებით დაასაჩუქრეს ბოგუნსკის და ტამაშანსკის საბჭოთა პოლკები.

[illegible]

მამა კაცებთან, რომ დაბრუნდენ სამშობლოში. ჩამოსულთ ძალით სწერენ ჯარში.

**დამოუკიდებელი სოციალისტები.**

ბრძანება იმის შესახებ, რომ დაებატიმრებიათ ყველა ის დამოუკიდებელი სოციალისტები, რომლებმაც რუსეთის მთავრობისაგან ფული მიიღეს გერმანიის რევოლიუციის დასახმარებლად. მთავრობას არ გამოუცია სამხედრო უწყების მიერ გაუქმებრობისაგან გამოცემული ბრძანება ოსკარ კონის დაპატიმრების შესახებ, სისრულეში არ მოუყვანიათ. გაჩხრიკეს მხოლოდ მისი სახლი ნორდ ჰაუზენში. დამოუკიდებელთა ფული ბანკში არ დაუკავებიათ, გარდა ოსკარ კონის ფულისა, რომელიც დააკავეს იმ მიზნით, რომ აენაზღაურებიათ რუსეთში მყოფ საელჩოებისთვის მიყენებული ზარალი.

**ჰინდენბურგი.**

გერმანიის მთავარ ბანაკი ხაზოლოვოდ აღმოსავლეთისაკენ გადავიდა. გენ. ჰინდენბურგი კოლბერგში მივიდა და ზომებს აღმოსავლეთის საზღვრების დასაცავად.

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი.** კუნგურის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა შეავიწროვა მოწინააღმდეგე და დაიჭირა ბერიოზოვსკაია. პერმის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. არხანგელსკის მიმართულებით დავიჭირეთ სოფელი მარინო და კუპროვსკოე.

**ლუგანო**, თებერ. 5. „სეკოლოს" კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება: ლონდონში მოელიან განათების ქარხნების მუშების ახალ გაფიცვებს. გლაზგოში მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ მუშებსა და ჯარს შუა შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ჯარმა ზარბაზნებიც დაიხმარა.

**კიევი**, თებერ. 11. გლეხების აჯანყების გამო ბესარაბიაში რკინის გზის [illegible]

## ბოლშევიკური ცნობები

**მოსკოვი**, თებერვლის 16. დასავლეთის ფრონტი. სუვალკის მიმართულებით ლიტოველთა წითელმა ნაწილებმა ბრძოლით დაიჭირეს სოფელი ოლიტა, რომენის მიმართულებით ბელოროუსთა წითელმა ნაწილებმა დაიჭირეს დაბა კასტოპოლი. სამხრეთის ფრონტი. მილეროვის მიმართულებით მტერმა შეაჩერა ჩვენი ნაწილები უსტ-

## ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს" რედაქციის ფონდი.

## დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

[illegible]

კრება, რომელზედაც მოხსენება წაიკითხა მატარებლის ხელმძღვანელმა სოსნოვსკიმ. ახალგაზრდა ორატორები საყვედურს უცხადებდენ ადგილობრივ „რ. კ." ახალგაზრდობისადმი გულგრილობაში. კავშირს უარს ეუბნებიან ფულით დახმარებაში და არ ანხორციელებენ 5 საათის სამუშაო დღეს. კრებამ რამოდენიმე დროს შესაფერი რეზოლიუცია მიიღო.

**ნაუენი.** თებ. 14. გერმანიის დამფუძნებელ კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ცენტრის დეპუტატი ფერენბახი, თავმჯდომარის ამხანაგად სოც.-დემ. შულცი. გერმანიის სატრანსპორტო მუშათა კავშირი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მოკავშირენი აპირებენ დაკავებულ გემების მოსამსახურენი გერმანიაში უკან დაიბრუნონ და ამ რიგად უმუშევრობა შექმნან.

**ბერლინი.** თებ. 10. ჰანვერის გარნიზონის სხდომაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც გამოცხადებულია პროტესტი ჯარის უფროსების უფლებათა გაფართოების გამო. მოითხოვენ აგრეთვე შესწყვიტონ კონტრ-რევოლიუციონურ მოხალისეთა ჯარების შედგენა. დააპატიმრეს გერმანიის ცნობილი კომუნისტი ოტტო რიულე. ბერლინის პრესის კავშირმა დამფუძნებელ კრებას მოსთხოვა ყველა გაზეთებზე ცენზურის მოხსნა.

**ჰამბურგი.** თებ. 10. ჰამბურგის საბჭომ განუცხადა სამხედრო მინისტრს ნოსკეს, რომ მე-9 საარმიო კორპუსი ბრემენში გაიგზავნება გერსტენბერგის კონტრ-რევოლიუციონურ ჯარების წინააღმდეგ.

[illegible]

და ბავშვებზე. აღელვებული ხალხი იბრძოდით ებრძვის მათ. ზავის საერთაშორისო კომიტეტის შვეიცარიის განყოფილებამ ბერნში მოიწვია შვეიცარიის, ინგლისის და საფრანგეთის ქალების კონფერენცია. კონფერენციაზე მიიღეს რეზოლიუცია რომელიც მოითხოვს დაუყონებლივ გაანთავისუფლონ სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები.

**ნაუენი** თებ. 15. მოკავშირეებმა აღკრძალეს გერმანიის დამფუძნებელ კრების წევრთათვის წერილების გზავნა დაპყრობილ ოლქებიდან. იტალიელები მოითხოვენ მისცენ მათ ავსტრიის მუზეუმში და კერძოთ ვენის სახელმწიფო წიგნთ-საცავში დაცული სხვადასხვა განძეულება და ხელთნაწერები. რუმინიაში ბოლშევიკური მოძრაობა ძლიერდება, მოძრაობა ბუქარესტიდან ვრცელდება, მეფე ფერდინანდ იასში გაქცევას სცდილობდენ.

## ინგლისური პრესა.

**კრამარჟი და პარიზის მუნიციპალიტეტი.**

**ოთხშაბათს** ნაშუადღევს პარიზის მუნიციპალიტეტმა მიიღო ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე კრამარჟი. მუნიციპალიტეტის წევრი თავმჯდომარე მიესალმა კრამარჟს და გამოსთქვა იმედი, რომ პარიზი ახლო მომავალში ინახულებს ჩეხო-სლოვაკების პრეზიდენტს მასარიკს.

# ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

ფარავნის ტბის ნაპირას, სადაც წარვაშეთის მთა დაიწყდება, სანსრების გადასწვრივ, განმარტოებით მოსჩანდა კარავი, რომლის გარშემო რამდენიმე ადამიანი ტრიალებდა, ქალი თუ კაცი. სამგზავროდ ეცვათ: გზად მომავალთ შეესვენათ აქ. კარავში მხოლოდ ქალები და ბალღები იყვნენ. ქალბატონს სირტყელი მოეშვა, გულისპირი ჩაეხსნა და მხარ-თეძოზედ მიწოლილი თვალებს ლულავდა. მარჯვენა ხელი უღონოდ გადმოეგდო ხალიჩაზედ მის დალონებულ სახეს და მიდუნებულ ტანს თუ ხელს ვეღარ უმჩნევდა ვერც მოელვარე გულის ქინძისთავი, ვერც ძვირფასი ბეჭდები, ვერც საყურე ფასდაუდებით: მხიარულად მოციმციმე სამკაული უფრო მკაფიოდ სახავდა ღრმა ნაღველს მათის პატრონისას. კარავში ორიც სხვა დედაკაცი იყო. ისინი მისდომოდნენ მიწოლილ ბალღებს, ხელარაჯობდნენ მდუმარედ მათ ძილს მღელვარეს.

— ნენე, ჩაეძინა ბაგრატს? ჰკითხა ნელის ხმით ქალბატონმა.

— ჩაეძინა როგორც იყო. ძილი უკრთება: გონებაში ჩავარდნილი ბავშვია, ჰშიდავს გარემოებას და ღელავს, მიუგო დედაკაცმა დაბალივე ხმით.

— აბეზარა კი, ვენაცვალე, იმდენად ვერა გრძნობს გაჭირვებას, არ ესმის პატარას. მაინც ჭინიანობდა გზაზედ, თავისებურად ვერა მხიარულობდა. შოლე ჩაეძინა დაღლილს; ღრმა ძილი არც ამას მოსდის, მოახ- [illegible] ძიძამ.

ხელის მიფარებით ანიშნა დაჩუმებულიყო, ბავშვები არ დაეღვიძებინა. ჩამოვარდა დუმილი. ქალბატონი ერთხანს თვალღია იყო გარინდებული, მერმე ჩახუჭა თვალები, ჩაეძინა. ვერ დაუმშვიდა ძილმა სახე: შუბლი ისევ შეჭმუხვნილი დარჩა, ლოყაზედ შიგა და შიგ ისევ გადურბენდა სწრაფი რამ მოძრაობა; მხოლოდ უფრო ფერმკრთალი შეექმნა სახე ალმბეჭდავი დიდის ტანჯვისა.

აიხადა კარვის კალთა და გამოჩნდა ვაჟკაცი. მზრუნველობით მიმოხედა იქაურობას, მიაპყრა თვალი მძინარე ბალღებს და უკანვე გადადგა ნაბიჯი, ფრთხილად ჩამოუშვა კარვის კალთა. ვაჟკაციც ძლიერ დაფიქრებული იყო, შავად მოქუშული. მძინარეთა ხილვით უფრო დაიჩრდილა მისი სახე, სევდა ღრმად იხატა მის დიდრონ თვალებში. მსუბუქად იყო შეიარაღებული. საგზაო ტანისამოსი ეცვა. ჯაჭვი გაეხადნა. მუზარადის მაგივრად ჩახუჭუჭებული კრაველი ერქვა თავს მსუბუქ რამ ჯიღით შემკულ-დამშვენებული. ვაჟკაცის დანახვაზე დედაკაცები შეინძრენ, წამოდგომა დააპირეს, მაგრამ იმან ანიშნა, წყნარად ყოფილიყვნენ, არ ამდგარიყვნენ.

— შენ კი არ გინდა, შვილო, ძილი? მიუბრუნდა იგი პატარას, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყოლოდა მამას კარავთან და ეხლა მასთან ერთად გამოტრიალდა უკან.

— არა! გიორგიმ მიუგო, ნავს მოაყენებენ ნაპირზედ და თუ გინდა სათევზაოდ გავიდეთ ტბაში. მამას დაეკითხე, არ გაწყრესო. ნებას მომცემ?

— წაჰყევი, თუ არ დაღლილხარ! ფრთხილად კი იყავი: არ ვარგა წყალ- [illegible] ...პის ყურისაკენ. მა- [illegible] ...ლე თვალი [illegible] ..., გა- [illegible] ...მაც

ვერ დაქანცა. სახითაც იმასა ჰგავს, უფრო ცეცხლის მფრქვევ თვალებში. ტყუილად კი არ დავარქვი ადარნასე და მოსახელედ დაუყენე ცხონებულს. პირმშო ჩემი, ტახტის მემკვიდრე, გარნა რაღა დაუმკვიდრო საწყალობელსა, როდესაც ღმერთმა გარეშე აქცია ჩემგან პირი თვისი და შემერყა სამკვიდრებელი, იავარმექნა მოხაგები მამა-პაპათა?!

2

მოშორდა ვაჟკაცი კარავს, დაუხვია ტბის ყურისაკენ. მოსჩანდა ნაპირზედ მომდგარი ნავი. გადაადგა კლდოვან ქიმს, ტბას რომ წასდგომოდა ზედ. ჩაიხედა წყალში. შეჰზარა: იქაც რაღაცა გულჩასვეული უბედურობა დაინახა გულგატეხილმა. ღრუბლიანი იყო ცა. ეტყობოდა, მაღლა ქარი ჰქროდა: ღრუბლები სწრაფად იცვლიდნენ სახეს, დაქანაობდნენ ჰაერთ სივრცეში. მოქუშულ ცას ტბაც ჩაეშავებინა, გამდნარი ტყვიის სახე დაედვა მძიმედ მოძრავ ტალღებისათვის. კიდეც იგრაგნებოდა ტბის ზენარი, შეშფოთებულიყო; ამოდუღდა წყალი ბუყბუყით, გარისხვაზ აპირობდა ძლიერი, ბრძოლას მძვინვარეს; ჯერ კი ისევა ცდილობდა, თავი შეეკავებინა თუნდ ჟამიერად, თუნდ წამიერად.

— უბედობა უბედობას მოსდევს, მარცხი მარცხს ენაცვალება და ვაი თუ ბუნებაც მტრულად მომეპყრობს, მანც განიზრახოს ჩემი ზიანი. თუ ღელვა ასტყდა, მსუბუქი ნავი ვერ გაუძლებს ტალღის ხეთქებას, ხიფათი რამ შეემთხვევა ბალღს, გაიფიქრა იმან.

და უნდოდა გადაეძახნა, არ გაჰყოლოდა მებადურებს, მაგრამ თავი შეიმაგრა, მიცემული დასტური აღარ დაარღვია.

— არა უშავს რა, არ შეკრთება: ჯერ პატარაა, მაგრამ ყოჩაღია, გამბედავი. არც უნდა შედრკეს, სრულებით არ უნდა იცოდეს შიში. მემკვიდრეა ჩემი, მომავალი მეფე—სარდალი და ბევრ საბედისწერო ცვლილებას უნდა ელოდეს ყოველ ჟამს. ეხლავე უნდა გაიძლიეროს გული, შეეჩვიოს საფრთხეს, განსაცდელს. შერყეულ მემკვიდრეობას ვუტოვებ, იქნება დახგრეულსაც; დიდი ბრძოლა დასჭირდება ოდესმე, უტეხი გმირობა, საგანგებო მოსაზრება სწრაფი.

შეცურდა ნავი. ვაჟკაცი ერთხანს იდგა იქვე უძრავად, მერმე მოისვა სახეზე ხელი, გამოტრიალდა. შეავლო თვალი იქაურობას. გვერდზედ არავინ აბლდა. ხმალდარაკიანი მონა შორს იდგა ლანდივით. იქით, მეორე მხარეს, ქვაზედ ჩამომჯდარიყო ქარმაგი ვინმე ქალარა და ხელმანდილით ჩამომბულ მარცხენას ისწორებდა: მსუბუქად დასჭრეს მოხუცი ბარძიმი ბოლოს ბრძოლაში, ტყვედ კი ვერ ჩაიგდეს; ძლივს გამოასწრო, შემთხვევით გადარჩა.

— ბარძიმია. ცოტა და შემრჩა ახლომყოფთაგანი, ჩამეხოცა მთელი რაზმი. იძლია ჩემი ლაშქარი, გაქანდა ძალა. ეჰ, აღარა ღირს ფიქრი გარდასრულზედ, არც ზრუნვა რამე. ალბათ ესეც ღვთის ნება იყო. არ ვიცი, რითი განვარისხე ქურთხეული, რად დამამდაბლა ესე საშინლად, ან რად გამწირა ესე სრულიად. არა მქონია სამართალი არც იმას! წარმოსთქვა ვაჟკაცმა.

და ხელი ჩაიქნია უმწეოდ, ჩაჰკიდა თავი. უკანასკნელ დამარცხების შემდეგ მთლად დაჰკარგა გმირმა იმედი, სასოწარკვეთილებას მიეცა მწარეს. დაშალა ფიქრი მძლავრად მომქმედი, უჟამოდ ზრუნვა იმედიანი სახელმწიფოზედ. მასში დარჩა ან მხოლოდ ვინმე მოსახლე, რომელიც იმაზედ და ფიქრობდა, ოჯახი გადაერჩინა განსაცდელისაგან, დროზედ გაეყვანა სამშვიდობოს, დაებინავებინა უშიშ ადგილას. თავის თავს მარტო სახლის მამად და სთვლიდა გული, თითქო უკვალოდ გამქრალიყო მასში ზრუნვა თავის უდიდეს ოჯახზედ: დავიწყებოდა სრულიად, რომ განგებას დაედგინა ის არა მხოლოდ მამად ოჯახისა, არამედ მამასახლისადაც საქართველოსი; აღარ ახსოვდა, რომ ხელთ ეპყრა მას მთელი ერის ბედი, იღბალი, რომ მას შეჰყურებდა ქართველთ სამშობლო, ერთად ერთ იმედს ძალებით მოსილს, ერთად-ერთ მხსნელსა განძივინებულ ვეშაპისგან პირაშკმულისა. მოზღვავებულიყო უსჯულო დასანთქმელად ქრისტეს მოსავთა, მათ მოსასპობლად. სხვა არავინა ჰყვანდა ერს ხელისამპყრობელი. თავისი თავმოყვარეობაც დავიწყებოდა ვაჟკაცს, ის ზვიადი ოცნება, რომელიც უსახავდა მას საქართველოს შეერთებულს ზღვიდან ზღვამდისა და თითონ მას, აშოტ მძლეველს ბრწყინვალე გვირგვინად შეკრებილის ტომისა, მასალბუნებლად მის წყლულებათა, მანათობლად მის ცხოვრებისა. ყოველივე ეს წაშლილიყო მის შიმქრალ სულში და აშორენილიყო მხოლოდ კერძო ადამიანი, რომლის მოწოდება იყო მარტო კერძო ცხოვრების მოწყობა, საკუთარი კერის დარაჯობა და მფარველობა. ჩასთვლემოდა აწ მასში გმირს შემმართებელს, მისძინებოდა მასში ნიჭს ცხოველს, მარჯვედ მოაზრეს, დიდებულ გეგმთა სწრაფად ჩამომსხმელს. მოშვებულ-მოდუნებულიყო მასში ნებისყოფაც მისი უტეხი, ბუმბერაზულ საქმეთა შემსრულებელი. გული აღარ უთქმიდა მას სახალხო ძნელ განცდათათვის. უბრალო სულდგმული და იყო ის, რომელისთვისაც მოეშალნათ ბუნაგი თბილი, რომელი მიილტვოდა ახალი ბინის მოსაპოვებლად, რომ შეეფარებინა დაბეჩავებული თავი და ნაშენი თვისი ან ეული, საწყალობელი. არ უამა ბარძიმის დანახვა, შესაძლებელი ყოფილიყო, გზას აუქცევდა. ის კაცი სინიდისის მხილებათა განხორციელებად დაჰსახოდა ეხლა მას, იცოდა, რას უსაყვედურებდა, რას მოსთხოვდა ხალხის მეთაურს, ერის წინამძღვარს. უნდა დაჩუმებულიყო: უმწეო იყო მხილების წინაშე, საპასუხო არა ჰქონდა რა. კარგად ჰხედავდა, რა მოუმედება შეეფერებოდა ეხლა მას, მაგრამ ვერ ძალუძვა გაჰყოლოდა მოვალეობის მოწოდებას: უღონო ქმნილიყო ბუმბერაზი, ვით სამფსონი თმაწაკვეცილი, ჩაფერფლილიყო ხალხის მოჭირისხუფე; უიმალო მომაკვდავი და დარიჯხილიყო ის, ერთი მრავალ აშოტთაგანი. სურვილით მოასურვებოდა მყუდრო რამ ადგილის მოწყობა, თავისუფლად სუნთქვა სუფთა ჰაერში, ცხოველმყოფელ მზის სხივზედ თბობა, ცივი წყაროთი, ცეცხლმა პურით კმაყოფილება. დაჰნატროდა იმ თვის ქვეშევრდომთ, რომელთ სახელი მათ სოფელს იქით არავინ იცოდა, რომლის ზრუნვა მოფარგლულ ეზოს არ სცილდებოდა, რომელს ურნის საქმეც კი არასოდეს არ დასტეხოდა თავს. ეს სანატრელი ყოფაც მიუწვდომელი იყო აწ მისთვის. სხვა გზა მაინც არ ჰქონდა მას და ლონდებოდა უღონოდ თვის აღმზრდელის წინაშე, საგმირო საქმეთა მასწავლებლის წინ, ისე, როგორც ბალღობისას მოსდიოდა ხანდახან, როცა ვერ შეასრულებდა დავალებულსა. მკაცრი ოსტატი ხომ უკლებლივ მოსთხოვდა ყოველსავე და მით უფრო მტკიცედ, რომ მას ზურგს უმაგრებდა ისეთი სასტიკი ნებისყოფის კაცი ძლიერებით მოსილი, როგორიც იყო მისი მამა მეფე ადარნასე. ბარძიმი რომ ნელის ნაბიჯით წამოვიდა მისკენ, ბალღური უმწეობა იგრძნო აშოტმა. შესაძლებელი ყოფილიყო, გზას აუქცევდა-მეთქი.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ციმბირის რკინის გზის აღდგენა.**

შეერთებულ შტატებმა მიიღეს იაპონიის მთავრობის წინადადება ციმბირში რკინის გზის აღდგენის შესახებ. ციმბირის რკინის გზას, რომელშიც შედის ჩინეთის აღმოსავლეთი რკინის გზა, კანტროლს გაუწევს საერთაშორისო კომისია, რომელის თავმჯდომარე რუსი იქნება.

**სასოფლო-მეურნეობის საკითხი.**

საერთაშორისო საბჭომ მიიღო პროექტი შეიტანონ ხალხთა ლიგაში განსაკუთრებული განყოფილება, რომელიც განიხილავს სასოფლო მეურნეობის საკითხს. ეს განყოფილება განაგებს შემდეგ საქმეებს: უნდა წარმოადგინოს მოსავლის ანგარიში, შეიმუშავოს პირობები და დააწესოს ქირა სასოფლო სამეურნეო სამუშაოზე და დაიცვას ბუნებრივი სიმდიდრენი.

რადგანაც სახელმწიფო დეპარტამენტმა სხვა მთავრობებთან შეთანხმებით ჩეხო სლოვაკთა ეროვნული საბჭო დამოუკიდებელ მთავრობათ აღიარა, სამხედრო სავაჭრო პალატებმა ჩეხო-სლოვაკიასთან სავაჭრო ურთიერთობა განაახლეს, ამ ჟამად ვაჭრობისთვის გახსნილია ის ადგილებიც, რომელიც 1914 წელს ბოჰემისა და ბავარიის პროვინციას შეადგენდა.

## სასტუმროების და რესტორანების მეპატრონეთა კრება

9 თებერვალს შესდგა რესტორან-სასადილო სასტუმროების მეპატრონეთა შეერთებული წლიური კრება, კრებას დაესწრო 300-მდე წევრი. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) წლიური ხარჯთ აღრიცხვა, 2) ბიუროს მდგომარეობა, 3) პატენტების აღება, 4) გამგეობის არჩევა, 5) ქალაქის თვითმართველობაში ხმოსნის გაყვანა; კრება გახსნა ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ს. გიგიბერიამ და მოუწოდა კრებას, რომ აერჩია თავმჯდომარე, თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ნაფიცი ვექილი გ. ა. გორდეზიანი. პირველად მოხსენება გააკეთა ამხ. ს. გიგიბერიამ და ვრცლად შეეხო არჩევნების ინიციატორებ რომლებმაც თავისი ძმა-კაცობით და ნათლი- მამობით გაიყვანეს ხმოსანი ქალაქის საბჭოში, და მით მთავარი კომიტეტის წევრებიც შეცდომაში შეიყვანეს; გამოირკვა, რომ პირველ კრებას, 15 იანვრის, დასწრებია 25 კაცი, მათ შორის კომისიაში შედიოდა 8,*) ამომრჩეველი დარჩა სულ 17 კაცი; ბიუროს ყავს 500-მდე წევრი და ამათში რამდენიმე ვაჟბატონების მოქმედებით მონაწილეობას; ღებულობს მარტო 25 კაცი გასაკვირია, ნუ თუ ისეთი კაცი არ იქნება, რომ ოცი ოცდა ხუთი მეგობარი არ ყავდეს? და აი სწორედ ბ. მეძმარიაშვილმა კიდევაც მოუყარა თვის მეგობრებს თავი და თავის თავი აარჩევინა ხმოსნათ; მე არ ვეხები დანარჩენ კანდიდატებს, მხოლოდ მეძმარიაშვილზე კი თამამად შემიძლია ვთქვა რომ ის არ არის სასურველი პირი.

კრების 287 ხმის უმრავლესობით 13 ხმის წინააღმდეგ როგორც სარეკომენდაციო კომისიის არჩევნები ისე განსაკუთრებით მ. მეძმარიშვილს უნდობლობა გამოუცხადა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს მთავარი კომიტეტის სახელით ამხ. პ. გოთუა სადაც პირველ მის გამოსვლას ტაშით აჯილდოებს კრება. ის მოუწოდებს კრებას, ის მოუწოდებს კრებას მშვიდობიანობის და შუღლის აუტეხავად საქმის გათავებას თუმცა შეუძლებლად სცნობს არჩეულ ხმოსანის გამორიცხვას, „მხოლოდ შეიძლება ნომრების გამოცვლაში დასასრულ ამხ. გოთუა მოუწოდებს კრებას, რომ ყველა აღფრთოვანებით და მატერიალური დახმარებით შეეგებოს დამფუძნებელ კრების არჩევნებს.

გამგეობის წევრებათ ერთხმათ არჩეულ იქმნენ: ს. ნ. სხირტლაძე. დ. ს. მაჭავარიანი, ს. ს. გიგიბერია, ნ. გ. სიხარულიძე, ა. გ. ზაქაიძე, ვ. ბ. ჩაჩიბაია, ს. ს. მომცელიძე, ს. ს. მეგრელიშვილი, რ. ბ. იოსელიანი. მათ კანდიდატებათ: მარკოზაშვილი და კუპრეიშვილი. სარევიზიო კამისიაში: ა. დ. წულუკიძე, გ. გ. მერაბიშვილი, ვ. იაკობიშვილი. შემდეგ მოხსენებას აკეთებს ბ. გორდეზიანი, სადაც მოუწოდებს დამსწრე თანამგრძნობთ ამავე პარტიისას, რომ შეძლების დაგვარად გაუწიონ დახმარება მომავალ დამფუძნებელი კრების არჩევნებს, და კიდეც რამოდენიმე ამხანაგმა მიიღეს თავის თავზე ინიციატორობა და კიდეც მოაგროვეს ურთიერთშორის რამდენიმე წვლილი; დასასრულ კრება დიდ მადლობას უცხადებს როგორც ამხ. პ. გოთუას აგრეთვე ბ. გორდეზიანს აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის.

დამსწრე.

*) ამ რვა კაცმა აირჩიეს ერთმანეთში ოთხი კაცი, რაც არ აცნობეს არც გამგეობის და არც სხვა წევრებს.

## მოძრავი სახალხო უნივერსიტეტი საქართველოში

ქალაქთა კავშირის თანხმობით, კავშირის განათლების განყოფილების გამგის სერ. რობაქიძის თაოსნობითა და თბილისის უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა მონაწილეობითა და მათი ძალების შემწეობით საფუძველი ჩაეყარა ერთ ფრიად მნიშვნელოვანსა და ჩვენი დემოკრატიისთვის გადაუდებელ კულტურულ საქმეს: მოძრავი უნივერსიტეტის დაარსებას. არსებულ პირობების მიუხედავად ლექტორთა კოლეგიამ გადასწყვიტა შეუჩერებლივ აწარმოოს საქმისთვის საჭირო წინასწარი მუშაობა.

ლექტორთა წრემ თვის შემადგენლობიდან გამოყო საორგანიზაციო კომისია, რომელიც შეუდგა ენერგიულ მუშაობას, კომისიაში შედიან ქალაქთა კავშირის განათლების განყოფილების ხელმძღვანელი სერ. რობაქიძე, პარლამენტის ყოფილი წევრი და სახალხო განათლების სამინისტროს თვალსაჩინო თანამშრომელი გ. ნათაძე, ბაქოს ქართველთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ვლ. ბაქრაძე, პარლამენტის წევრი კ. ქავთარაძე, ქალაქის ხმოსანი ი. ირემაშვილი, თბ. სახალხო უნივერსიტეტის ლექტორი ექიმი ტურიაშვილი, ნაძალადევის განყოფილების მუშათა სექციის წარმომადგენელი კ. ქუთათელაძე და თბილისის უნივერსიტეტის ქართველ ლექტორთა თავმჯდომარე პარლამენტის ქვესტორი სერ. ჟორჟოლიანი.

უნივერსიტეტის განყოფილებათა გახსნა განზრახულია რესპუბლიკის 21 სხვა და სხვა ქალაქ-სოფლებში, ჯერჯერობით-კი დაუყონებლივ მოძრავი უნივერსიტეტი თვის მოქმედებას აწარმოებს 12 ჩვენს ქალაქებში.

ხსენებულ კომისიამ გამოიმუშავა მოღვაწეობის გეგმა, საშვალებათა აღმოსაყენი გზები, შექმნა პროგრამმა და შეუდგა ლექტორთა გამონახვას, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება თუ კი ის დააკმაყოფილებს მოძრავ უნივერსიტეტის მოთხოვნილებათა და სხვ. წინასწარ, ადგილობრივ იმის გამოსარკვევათ თუ რა ძალები შეიძლება ადგილობრივ აღმოჩნდეს, რა საგნები უფრო აინტერესებს ქალაქთა და მეცნიერების რომელ დარგს უფრო საჭიროებს პროვინცია, რა საშვალებები მოეძებნება ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ საქმის შესაფერად მოსაწყობათ, ერთი სიტყვით უნივერსიტეტის გახსნისთვის მიჩნეული ქალაქებში ამ კულტურულ დაწესებულების საფუძვლის ჩასაყრელად, ქალაქთა კავშირის მიერ გაღებულ საშვალებით 15 თებერვლიდან პროვინციაში იგზავნებიან ყველა ქალაქების ჩამოსარებლად და ზევით დასმულ კითხვების გამოსარკვევად ლექტორთა მიერ არჩეული ინსტრუქტორები სერ. რობაქიძე, მ. ნათაძე და ვლ. ბაქრაძე, რომელთა დაბრუნებისა და ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ უნივერსიტეტის მოღვაწეობის დაწყება განზრახულია მარტის პირველ რიცხვებიდან.

მოქალაქეთადმი, ორგანიზაციებისადმი და ქალაქების მიმართ მოწოდებანი, ლექტორთა მოწვევის პირობები, უნივერსიტეტის პროგრამმა, ქალაქთა სია, სადაც განზრახულია ესეთივე განყოფილებათა გახსნა და სხვა დაწვრილებითი ცნობები პრესაში გამოქვეყნდება, ხოლო ვისაც ეს საკითხი აინტერესებს და ეხლავე სურს გაეცნოს ამ მუშაობას მას შეუძლია მიმართოს კომისიის თავმჯდომარეს, სერ. ჟორჟოლიანს სასახლეში.

## კორესპონდენცია

### სოფ. მეჯვრისხევი
(გორის მაზრა)

თუმცა ამ სოფლის ცხოვრება არ გაირჩევა, საქართველოს დანარჩენ სოფლებიდან, მაგრამ აქ ჰხდება ისეთი რამ, რაც არა მგონია სხვაგან ხდებოდეს, ნათქვამია: „პირთბა კაცს ცოლს წაართმევსო“. ასეთი ანდაზით თამამათ შეუძლიან ჩვენს სოფელს მიმართოს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს, რომელიც დიდი ხანია დაგვპირდა: ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გახსნას და რომელმაც მარტო ტელეგრაფის ნამბი გამოგვიყვანა და მოსამსახურეებს კი არ გვინიშნავს, და ცარიელ იმედით გკვებავს. თუმცა იმედიც კარგი საქონელია, მხოლოთ ამ შემთხვევაში კი არა. ასეთი დიდი სოფელი როგორიც მეჯვრისხევია, დაახლოვებით — 1200 — მეკომურით, სხვა და სხვა საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებით, მოწყვეტილია წუთი სოფელს და ვერც კარგს ვიგემთ და ვერც ავსა, თუმცა გორზე სულ 20 ვერსზე ვართ დაშორებულნი. ფოსტა-ტელეგრაფი რომ გვქონოდა, აქამდის დროზე ვაცნობებდით, სადაც ჯერ არს, ზოგიერთ ჩვენ გულის-ნადებს, აი მაგალითად თუნდა ავიღოთ უკანონო მოქმედება რომელიდაც თავზე ხელ აღებულ ჯგუფისა, რომელსაც ვიღაც დალაქი ხელმძღვანელობს. ეს ჯგუფი გულდასმით შეუდგა აქაურ წვრილ მეწისქვილეთა რბევას და მინდის ჩამორთმევას რომელთაც მინდის პური თითონ ძლივს ჰყოფნით საკვებად. ამ უკანონობას ასაბუთებენ ვითომცა მთავრობის ბრძანებით. შეიძლება ერთ წამს, რომ მთავრობამ კიდეც ბრძანა მოგროვდეს ჯარის საჭიროებისთვის ფქვილი; მაგრამ კაი მთქმელს, კაი გამგონიც სდომებია. რომელი მთავრობა უბრძანებს: „ფქვილი წისქვილების პატრონებს სულ მთლიანათ ისე ჩამოართვით, რომ მათ საჭმელად არა დაუტოვოთ რაო“. ჩვენ ეს არ გვჯერა და არც დავიჯერებთ. ჩვენ იმის მომხრენიცა ვართ, რომ მეტი ნაწილი, არამც-თუ ფქვილისა, არამედ ყველა ჩვენი სიკეთისა ძღვნად და საჩუქრად შევწიროთ, ჩვენს მამულს, ჩვენი ნება ყოფლობით და არა ძველ რეჟიმულ მათრახ ქვეშ და ათასგვარ მოტყუებით.

მკვიდრი.

—

**ლეხაინდრაო** (სენაკ. მაზრა)

ლეხაინდრაოს საზოგადოებაში, საერობო არჩევნების დროს ბევრი ბოროტ-მოქმედებებს ჰქონდა ადგილი. სოციალ-დემოკრატიული პარტია ადგილობრივი კომისრებისა და მილიციელთა დახმარებით არავითარი ზომებს არ ერიდებოდენ. ხშირად აშკარა უკანონობასაც სჩადიოდენ, რითაც ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიას ეცლებოდა ყოველგვარი საშუალება მიეღო მონაწილეობა საარჩევნო კომპანიაში.

ამომრჩევლებთა ფართე მასაში კი ჩვენმა პარტიამ დიდი თანაგრძნობა მოიხვეჭა.

ხსენებულ ბოროტ-მოქმედებების გამო პარტიის წევრებმა ნაფიცი ვექილმა ს. გაბუნიამ და რაჟდენ ქაჯაიამ სათანადო საჩივარი აღძრა უკანონოთ მომხდარ არჩევნების გაუქმების შესახებ, რაც სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ განიხილა და არჩევნებიც უკანონოთ იცნო. ეხლა ლეხაინდრაოს საზოგადოებაში დანიშნულია ახალი არჩევნები და თუ ბოროტ-მოქმედებები არ განმეორდა, ჩვენი პარტია გაიმარჯვებს, რადგან ხალხი სოციალ-დემოკრატიული პარტიით ძლიერ უკმაყოფილო არის.

—

საქონლის ჭირი ძლიერ გავრცელებულია მაზრაში. გამგეობამ ქუთაისის სამაზრო ერობის შრატის დამზადებელ სადგურში შრატის გამოსახდელად გაგზავნა ოცამდის ხარი. მიღებული აქვს ზომები, კიდევ გაიგზავნოს სოფლებიდან ხარები. თავის განკარგულებაში ყავს ერთი ვეთეთლი ექიმი ორი ფერშლით. 8 თებერვალს საექიმო განყოფილებამ ჩაიბარა სენაკის სამაზრო საბეითლო განყოფილება და ამის შემდეგ მას საშვალება ეძლევა უახლოესი ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ დაწესებულებას.

იანვრიდან ჯერ ქალაქებში, შემდეგ კი სოფლებში გავრცელდა პარტახტიანი ტიფის ეპიდემია. რომელმაც ამ ჟამად ფართე ხასიათი მიიღო. გამგეობა სენის წინააღმდეგ ღებულობს სათანადო ზომებს: გზავნის ექიმებს და ფერშლებს იმ ადგილებში, სადაც სენი თავს იჩენს საჭირო მედიკამენტებით. აქვს თავის განკარგულებაში სადეზინფექციო აპარატი „გულიობი“.

გამგეობამ მცხოვრებთათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად ჯერჯერობით მოიწვია: 6 ექიმი და 10 ფერშალი, გახსნა ერთი 20 საწოლიანი საავათმყოფო ქ. სენაკში, ამ დღეებში გაიხსნება ზანძაში 12, ნოქალაქევში 8 საწოლიანი სამკურნალო. ქსენონების მოსაწყობათ საჭირო მასალებიც მზათ აქვთ. ზემოაღნიშნულს ემატება კიდევ წინეთ არსებული აბაშისა და ნოღალევის ქსენონები.

საერობო გამგეობა უკვე შეუდგა მაზრის ადმინისტრაციის და მილიციის მიღება-ჩაბარებას.

მეთვალყურე.

## შემოწირულება

13 იანვარს შეგროვილი ფული 121 მანეთი ქ-ნ ელენე კალანდარიშვილისაგან რედაქციამ მიიღო 14 იანვარს ომში დაჭრილთა და დსახიჩრებულთა სასარგებლოდ.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

## მატარებლების მიმოსვლა
11 თებერვლიდან

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.
მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.
მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

ე ქ ი მ ი
**ნიკ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია
**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.— 25—2305

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
**კაკულიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი. წითელ ჯვრის რენტგენოლოგის და მიხეილის საავადმყოფოს
ე ქ ი მ
**ა. ვ. ლევენშტეინისა**
იღებს 10 ნახ. 1 საათამდე და 4-იდან 7-ამდე კვირა დღის გარდა. შინაგან და ქალთა ფილტვების სატკივრებისთვის. (სპეციალურად გულის, კუჭის და ქრონიკულ ავადმყოფებს ნერვიულ სისტემის და ქალურ სქესობრივ სფეროში) რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილები რიგს გარეშე მიიღებიან. კრილოვის ქ. სახ. № 5 ბინა № 3. ტელეფონი 12—46.
(თვ. 2075—4.)

მედიცინის ექიმი
**ე. ა. მ ო ნ ს ე**
ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
1000—2119—1

**ნატურალური ღვინო**
ეკატერინენფელდის ახალშენიდან სუფთა და წმინდა. იაფად იყიდება სავაჭრო
**„ეკატერინენფელდში“**
რეუტოვის ქუჩა, № 13. 3—2119—1

## აფიცერთა რაზმის შედგენა

სამხედრო მინისტრმა მიბრძანა მე, ოფიცერთა რაზმის ყოფილ უფროსს კაპიტან უთნელიშვილს, სამშობლოს დაცვისათვის ახალციხის ასპარეზზე გასაგზავნად ხელმეორედ შევადგინო ოფიცერთა რაზმი შემდეგი პირობებით: თითოეულ ოფიცერს მიეცემა ერთდროულ დახმარების სახით ათასი (1000 მ.), უმცროსი ოფიცრის ჯამაგირი, ტანსაცმელი და ჯარისკაცის ულუფა. იმ ოფიცრებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით და მოვალეობის შეგნებით არიან გამსჭვალულნი, ვსთხოვთ ჩაეწერონ დასახელებულ რაზმში სამხედრო სასწავლებლის კანცელარიაში (მიხეილის ქუჩა). იქვე მიიღებიან არა გასაწვევ ხნოვანობის ბრძოლისათვის გაწაფული მოხალისენიც, სახალხო გვარდიელთა უფლებებით.

ოფიცერთა რაზმის უფროსი—კაპიტანი უთნელიშვილი.

საყველივროთ **აპელსინები** საყველივროთ
(რიზედან), რჩეული ჯიშის, (იავა) ჰიგანტი, ეკეტრა, № 1 № 2.
**30 მანეთიდან 12 მანეთამდე ათეული**
ბათომის ფასებზე 50 პროც. დაწეული და თბილისის ბაზრისაზე 100 პროც. იაფი. ვაჭრობა საჯაროდ ნარდათ და წვრილად. მიხეილის პრ. „კინო-პალასის“ გვერდით.
3—2114—1

**წიგნების საკინძ-საკაზმავი სახელოსნო**
**ვლადიმერ შატბერაშვილისა**
13 წლის განმავლობაში პრაქტიკული ცოდნის მიღების შემდეგ გავხსენი საკუთარი სახელოსნო, სადაც ვღებულობ ყოველგვარ საქმეს, რომლებსაც ვასრულებ დაპირებისამებრ
— **ზომიერ ფასებში** —
ვღებულობ კანტორის და ბლანკის წიგნებს, უდებს, ბროშურებს, სურათებს ჩარჩოებში, სამგლოვიარო ლენტებს და სხ. და სხ საკინძ-საკაზმავ საგნებს.
**მისამართი:** სასახლის ქუჩა, № 5, მეორე სართულში კავშირის გვერდით
24—114—4

**ახალი კლუბი**
დღეს, თებერვლის 18-ს, 1919 წელს
თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემენარიასთან არსებულ მშობელთა წრე ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ მართავს
**წარმოდგენა-კონცერტს**
**ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდენ**
კომედია 2 მოქმედებად.
II.
მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდი შეასრულებს სახალხო სიმღერებს 2 განყოფილებათ სხვათა შორის გუნდი შეასრულებს (თამარ ქალო) ნიკო კავსაძის მონაწილეობით.
მონაწილეობენ: ქ. ჩერქეზიშვილისა, ანკარა; ბ. საფაროვი, ფრონისპირელი, ციციშვილი და სხვა. დასასრულ ცანგალა ჩერქეზიშვილის მონაწილეობით:
ადგილების ფასი 5 მან. 20 მან. — დასაწყისი 7 ნახ. საათზე.
1—2116—1

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი**
**„საქართველო“**
1919 წ. **წლიწადი მეხუთე** 1919 წ.
**გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.**
**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.
**კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.**

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.